

შპს „ინვესტი 2023“

კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

2023 წლის 31 დეკემბრით დასრულებული

საანგარიშგებო წლისთვის

შპს „ინვესტი 2023“ კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური ანგარიშგება

საბალანსო ანგარიშგება	3
მოგება-ზარალის ანგარიშგება	4
ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები	5-12

შპს „ინვესტი 2023“ კონსოლიდირებული ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარში)

12/31/2023

აქტივები		
გრძელვადიანი აქტივები		
ძირითადი საშუალებები	4	10,458,935
		10,458,936
მოკლევადიანი აქტივები		
ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები	5	41,808
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	6	265,147
მარაგები	7	86,597
სხვა მიმდინარე აქტივები		15,253
		408,805
მთლიანი აქტივები		10,867,740
მთლიანი კაპიტალი		
საწესდებო კაპიტალი		-
გაუნაწილებელი მოგება / (დაგროვილი ზარალი)		60,794
გადაფასების რეზერვი		10,790,884
		10,850,884
ვალდებულებები		
გრძელვადიანი ვალდებულებები		-
მოკლევადიანი ვალდებულებები		
სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	9	16,062
მთლიანი ვალდებულებები		16,062
მთლიანი კაპიტალი & ვალდებულებები		10,867,740

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ხელმომწერი პირი:

მერაბ მელია - დირექტორი



27 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

6-15 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს "ინვესტი 2023"-ის
კონსოლიდირებული მოგება-
ზარალის ანგარიშგება
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარში)

		12/31/2023
ამონაგები	10	665,653
თვითღირებულება	11	(279139)
საერთო მოგება		386,514
სხვა შემოსავლები	12	308,581
ზოგადი & ადმინისტრაციული ხარჯი	13	(610,387)
მიწოდების დანახარჯები		-
სხვა შემოსულობები/(ზარალი) - წმინდა		-
სხვა ხარჯები	14	(23914)
საოპერაციო მოგება		60,794
ფინანსური შემოსავალი		-
ფინანსური ხარჯი		-
ფინანსური ხარჯი - წმინდა		-
მოგება დაბეგვრამდე		60,794
მოგების გადასახადი		-
წმინდა მოგება		60,794
სხვა სრული შემოსავალი:		
შემოსულობა მიწისა და შენობების გადაფასებიდან, გადასახადების გამოკლებით		-
მთლიანი სრული შემოსავალი		60,794)

2023 წლის 31 დეკემბერს დასრულებული წლის ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბერს შემდეგი პირის მიერ:

ხელმომწერი პირი:

მერაბ მელია - დირექტორი



27 სექტემბერი 2024

თბილისი, საქართველო

5-12 გვერდებზე წარმოდგენილი შენიშვნები ფინანსური ანგარიშგების განუყოფელი ნაწილია.

შპს „ინვესტი 2023“-ის კონსოლიდირებული ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები
2023 წლის 31 დეკემბრის დასრულებული წლისათვის (ლარში)

1. შესავალი

კომპანია და მისი საქმიანობა

შპს „ინვესტი 2023“ რეგისტრირებულია 2023 წლის 6 სექტემბერს.

შპს ფლობს „სს „ელექტროავტომატის“ (ს/კ-204379412) 95,09982%-ს

კომპანიის იურიდიული და ფაქტობრივი მისამართი: ქ. თბილისი, ქუთაისის ქ. #21

კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტას წარმოადგენს საქართველოს ეროვნული ვალუტა - ქართული ლარი (GEL).

2. მომზადების საფუძვლები და სააღრიცხვო პოლიტიკის ძირითადი პრინციპები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების (მსს ფასს) შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულებში (ფე).მსს ფასს სტანდარტის მიხედვით ფინანსური ანგარიშგების წარდგენა მოითხოვს სამეურნეო ოპერაციებისათვის და მოვლენებისათვის სააღრიცხვო პოლიტიკის შერჩევასა და თანმიმდევრულ გამოყენებას. კომპანიის მიერ წარდგენილი ფინანსური ანგარიშგება მოიცავს ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგებას 2023 წლის დასაწყისისთვის და დასასრულისთვის, 2023 წლის სრული შემოსავლის და საკუთარი კაპიტალის ცვლილებების ანგარიშგებას, კომპანია იყენებს ანგარიშგების წარდგენის გამარტივებულ ფორმას.

ამონაგების აღიარება

ამონაგები მომსახურების რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს მომსახურება მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა. ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით, ფასდათმობებისა და საქართველოს მთავრობის სახელით ამოღებული, რეალიზაციასთან დაკავშირებული გადასახადების გამოკლებით.

ფუნქციონირებადი საწარმო

კომპანიის ხელმძღვანელობის შეფასებით, კომპანიას შესწევს უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ, და გამოთქვა კმაყოფილება იმასთან დაკავშირებით, რომ კომპანიას აქვს საკმარისი რესურსი, გააგრძელოს საქმიანობა უახლოეს მომავალში,

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცებიდან მინიმუმ 12-თვიანი პერიოდის განმავლობაში. ამასთან, ხელმძღვანელობა არ ფლობს ინფორმაციას, რომელმაც შეიძლება ეჭვქვეშ დააყენოს კომპანიის უნარი გააგრძელოს საქმიანობა, როგორც ფუნქციონირებადმა საწარმომ. აქედან გამომდინარე, ეს ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფუნქციონირებადობის პრინციპის საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები აღიარდება გარიგების ფასით

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების თავდაპირველი აღიარება ხდება თვითღირებულებით. თვითღირებულება მოიცავს შესყიდვის ფასს, სხვა პირდაპირ დანახარჯებს და აქტივის დემონტაჟთან, ლიკვიდაციასა და ადგილმდებარეობის აღდგენასთან დაკავშირებული ნებისმიერი აუცილებელი მომავალი ფულადი ნაკადების მიმდინარე შეფასებას. მომავალი პერიოდის დანახარჯები ემატება აქტივის საბალანსო ღირებულებას, ან აღიარდება ცალკე აქტივად, იმ შემთხვევაში, თუ მოსალოდნელია, რომ აქტივთან დაკავშირებული მომავალი ეკონომიკური სარგებელი შემოვა კომპანიაში და აქტივის დანახარჯების განსაზღვრა საიმედოდაა შესაძლებელი. ყველა სხვა დანახარჯი, რომელიც დაკავშირებულია აქტივის შეკეთებასა და შენარჩუნებასთან, აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, რომელშიც წარმოიშვა. ძირითადი საშუალებები ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ნეტო საბალანსო ღირებულებით, რომელიც გამოიანგარიშება მისი თავდაპირველი ღირებულებიდან დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალის გამოკლებით. ძირითადი საშუალების ცვეთა იწყება მაშინ, როდესაც აქტივი ვარგისია გამოსაყენებლად. ცვეთის გამოთვლა ხდება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს აქტივის ღირებულების განაწილებას დარჩენილი მომსახურების ვადის განმავლობაში. აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა განისაზღვრება ამ აქტივის მოსალოდნელი სარგებლიანობით საწარმოსათვის და ეყრდნობა მსგავსი აქტივების მქონე საწარმოს გამოცდილებას. ასევე, გაითვალისწინება აქტივის ტექნიკური მოძველება და ფიზიკური ცვეთა. ძირითადი საშუალებების სასარგებლო მომსახურების ვადები:

ცვეთა

კომპანია ფლობს მიწას, რომელსაც ცვეთა არ ერიცხება. კომპანიამ 2019 წელს შეცვალა ცვეთის მეთოდი არ შეუცვლია და იყენებს ცვეთის დარიცხვის წრფივ მეთოდზე.

შენობა ნაგებობები	60
მანქანა დანადგარები	30
ავეჯი და ინვენტარი	5-10
ოფისის აღჭურვილობა	5-10
ტრანსპორტი	20

ღირებულებაში. ძირითადი საშუალების საბალანსო ღირებულების აღიარება წყდება გაყიდვის შემთხვევაში ან როდესაც მისი გაყიდვიდან ან გამოყენებიდან ეკონომიკური სარგებლის მიღება აღარ არის მოსალოდნელი. ძირითადი საშუალების აღიარების შეწყვეტის შედეგად მიღებული შემოსულობა ან ზარალი აღიარდება იმ პერიოდის მოგებაში ან ზარალში, როდესაც აღიარების შეწყვეტა მოხდა.

სავაჭრო და სხვა ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებების თავდაპირველი აღიარებისას ფასდება ტრანზაქციის ღირებულებით.

იჯარა

კომპანია, როგორც მეიჯარე - კომპანიას საოპერაციო იჯარის ფარგლებში გაქირავებული აქვს გარკვეული აქტივები. საიჯარო შემოსავალი აღიარდება მიმდინარე პერიოდის შემოსავლად საიჯარო ხელშეკრულების ვადის განმავლობაში და წარსდება „სხვა შემოსავლების“ მუხლში.

იჯარის ფასი განსაზღვრულია ხელშეკრულებით, შეთანხმების საფუძველზე.

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები

ბალანსის შედგენის თარიღის შემდგომი მოვლენები და ფინანსური ანგარიშგების ავტორიზაციის თარიღამდე მომხდარი მოვლენები, რომლებიც დამატებით ინფორმაციას იძლევიან კომპანიის ფინანსური პოზიციის შესახებ, აისახება ფინანსურ ანგარიშგებაში. ბალანსის შემდგომი მოვლენები, რომლებიც გავლენას არ ახდენენ კომპანიის ფინანსურ მდგომარეობაზე ბალანსის შედგენის თარიღისათვის, მაგრამ არსებითი მნიშვნელობისაა, აისახება ფინანსური ანგარიშგების თანდართულ შენიშვნებში.

სასაქონლო მატერიალური ფასეულობები - მარაგები

მარაგების ღირებულება განისაზღვრება უმცირესით ხარჯსა და ნეტო სარეალიზაციო ღირებულებას შორის. მარაგების ღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილი მეთოდით. ნეტო სარეალიზაციო ღირებულება განისაზღვრება ნორმალური ბიზნესის მიმდინარეობის პირობებში გასაყიდ ფასსა და დასრულებისა და გაყიდვის მოსალოდნელ ხარჯებს შორის. თუ მარაგები გაუფასურდა, მისი საბალანსო ღირებულება მცირდება მის გასაყიდ ფასს გამოკლებული მისი დასრულებისა და გაყიდვისათვის გამზადების ხარჯი. გაუფასურების ზარალი მაშინათვე აღიარდება მოგება-ზარალზე.

პერსონალის ხარჯი და მასთან დაკავშირებული შენატანები

ხელფასები, პრემიები, ბონუსები და თანამშრომელთა არაფულადი სარგებელი აღიარდება დარიცხვის მეთოდით იმ პერიოდში, როდესაც შესაბამისი სერვისი მიიღო კომპანიამ დასაქმებულისგან.

დაბეგვრა

მოგების გადასახადის ხარჯი შედგება პერიოდის მიმდინარე გადასახადისაგან.

პერიოდის გადასახადი აღიარებულია მოგება-ზარალში იმ შემთხვევის გარდა, თუ ის აღიარდება სხვა სრულ შემოსავალში ან პირდაპირ კაპიტალში (გადახდილი დივიდენდის დროს). კომპანიის მიმდინარე საგადასახადო ხარჯი, რომელიც დაკავშირებულია მის ძირითად საქმიანობასთან, გაანგარიშებულია საქართველოს საგადასახადო კანონმდებლობის შესაბამისად. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, კომპანია თავისი საქმიანობის ფარგლებში იბეგრება ასევე სხვა საოპერაციო გადასახადებით, როგორიცაა ქონების გადასახადი და საშემოსავლო გადასახადი, დამატებითი ღირებულების გადასახადი.

4. ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებები	მიწის ნაკვეთები	შენობა	მანქანა- დანადგარები	ავტო- და სხვა ინვენტარი	ოფისის აღჭურვილობა	ტრანსპორტი	2023
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 1 იანვარს	9,540,480	778,824	112,574	26,290	11,953	22,844	
შემოსვლა			153				
ცვეთის ხარჯი		14656	4833	1857	1311	1257	
გასვლა			10429				
საბალანსო ღირებულება 2023 წლის 31 დეკემბერს	9,540,480	764,168	97,625	24,433	10,642	21,587	

შპს შვილობილი კომპანიის საკუთრებაში ირიცხება 29 814 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი, მიწის ნაკვეთები შეფასებულია 2018 წლის ნოემბერში ლიცენზირებული კერძო შემფასებლის მიერ.

5. ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები

ფული და ფულთან გათანაბრებული ინსტრუმენტები (ლარი)	2023
ეროვნული ვალუტა - სალარო	6,023
ეროვნული ვალუტა საბანკო ანგარიშებზე	35,775
სულ	41,808

6. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი მოთხოვნები	2023
დებიტორული დავალიანება	265,147
სულ	265,147

7. მარაგები

მარაგები	2023 შეძენილის მასალები		2023
მზა პროდუქცია	71347		69413
ნედლეული და მასალა	15602	298781	17184
სულ	86949		86597

8. სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები

სავაჭრო და სხვა მოკლევადიანი ვალდებულებები	2023
კრედიტორული დავალიანება	15,152
სხვა მოკლევადიანი ვალდებულება	910
სულ	16,062

შემოსავლები:

9. ამონაგები

მომსახურების გაწევიდან	2023
რეალიზებული პროდუქციიდან	665,653
სულ	665,653

10. თვითღირებულება

მარაგის საწყისი ნაშთი -15602

შეძენა -298781

საბოლოო მარაგი -17184

რ.პ.თ - 297199

11. სხვა შემოსავლები 308514

იჯარა

არასაოპერაციო შემოსავალი 0

სულ 308514

12. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	2023
საკომუნიკაციო ხარჯები	-9620
კომუნალური ხარჯები	-182174
აუდიტორული მომსახურება	-25424
შრომის ანაზღაურება	-292494
საპენსიო	-4899
საგადასახადო ხარჯი (მიწა,ქონება)	-17941
მომსახურების ხარჯი	-44097
სხვა ხარჯი	-33738
სულ	-610,387

13. სხვა ხარჯები

სხვა ხარჯები	2023
ცვეთა და ამორტიზაცია	-23914

პირობითი ვალდებულება

კომპანიის წინააღმდეგ არანაირი სარჩელის წარმოება არ მიმდინარეობს;

საანგარიშგებო პერიოდის შემდეგი მოვლენები
2024 წელს საანგარიშგებო პერიოდის შემდგომ მოვლენებს ადგილი არ ქონია;

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

კომპანიის ხელმძღვანელობის მიერ ფინანსური ანგარიშგება გამოსაცემად
დამტკიცებულია 2024 წლის 27 სექტემბრით.

დირექტორი:

მერაბ მელია

